



№1-25/29

27/11/2020

რეცენზია

კლინიკური პრაქტიკის სტანდარტის/პროტოკოლის თაობაზე

ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების პრევენცია, დიაგნოსტიკა და მართვა პირველად ჯანდაცვაში

დავადების განმარტება:

ა(ა)იპ „საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის“, განსახილველად და რეცენზიის მოსამზადებლად, საქართველოს საოჯახო მედიცინის ასოციაციას განხილვისა და რეცენზირების მიზნით წარედგინა პროტოკოლი „ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების პრევენცია, დიაგნოსტიკა და მართვა პირველად ჯანდაცვაში“. პროტოკოლი შემუშავებულია პირველადი ჯანდაცვის გაძლიერების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოში ჩეხეთის კარიტასის (CCR Georgia) მიერ ჩეხეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით. პროტოკოლი ეყრდნობა ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების გლობალური ინიციატივის (GOLD) 2020 წლის გაიდლაინს, ამერიკის ოჯახის ექიმთა ასოციაციის ფქოდ-ის მართვის პრაქტიკულ სახელმძღვანელოს, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების დიაგნოსტიკის, მართვისა და პრევენციის ეროვნულ გაიდლაინს/პროტოკოლს და სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო წყაროების უახლეს მეცნიერულ მტკიცებულებებს.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მსოფლიოში, ყოველ მეათე მოზრდილ ადამიანს 40 წლის ზევით შეიძლება ჰქონდეს ფქოდ, ამავე დროს, ის ყველაზე გავრცელებულია ქვეყნებში, სადაც სიგარეტის მოწევა იყო ან არის ყველაზე გავრცელებული, საქართველოსთვის ეს პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია (როგორც მწველობის მაღალი გავრცელების ქვეყნისთვის). ფქოდ-ის რისკფაქტორების ზემოქმედების შემცირებითა და დაავადების ადრეულ ეტაპზე დიაგნოსტირებით პირველად ჯანდაცვას შეუძლია მნიშვნელოვნად შეამციროს ფქოდ-ის ტვირთი. შესაბამისად, საკითხის აქტუალობა პირველადი ჯანდაცვის რგოლისთვის უდავოა.

პროტოკოლის სტრუქტურა და შინაარსი

პროტოკოლის სტრუქტურა სრულ შესაბამისობაშია დაავადებათა მართვის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინების) შემუშავების სახელმძღვანელოსთან. ავტორების მიერ ჩატარებულია ყოვლისმომცველი სამუშაო უახლესი ავტორიტეტული საერთაშორისო რეკომენდაციების მოძიებისა და პროტოკოლში მათი ინტეგრაციის მიმართულებით.

პროტოკოლში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული ძირითადი განსხვავებები განახლებულ პროტოკოლსა და დღემდე მოქმედ ეროვნულ პროტოკოლს შორის, რომელიც დამტკიცებულია 2014 წელს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სიანხლების ხაზგასმა, როგორიცაა სპირომეტრიული კლასიფიკაციის მაჩვენებლების გამოყოფა ფქოდ-ის სიმძიმის შეფასების ABCD ჯგუფებისგან,

სამმაგი ინჰალაციური თერაპიის (ანუ LABA/LAMA/ICS) მნიშვნელობა ფილტვების ფუნქციის, სიმპტომებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, აგრეთვე, პერიფერიულ სისხლში ეოზინოფილების რიცხვის გამოყენება, გამწვავებების პრევენციის მიზნით საინჰალაციო კორტიკოსტეროიდების თერაპიული ეფექტურობის შესაფასებლად.

პროტოკოლის ძირითადი რეკომენდაციები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ, მარტივად და ადვილად აღსაქმელია პირველადი ჯანდაცვის რგოლში დასაქმებული პერსონალისთვის და მოიცავს ფქოდ-ის მართვის ყველა საკითხს, როგორცაა რისკფაქტორების გამოკითხვა, ფქოდ-ის დადასტურება, დაავადების სიმძიმის შეფასება განახლებული ინსტრუმენტებით, მედიკამენტური და არამედიკამენტური მკურნალობის თავისებურებები და ხანგრძლივი მეთვალყურეობის ასპექტები.

პროტოკოლის შესაბამისობა პჯდ ექიმების პროფესიულ კომპეტენციასა და ქსელში არსებულ რესურსთან


პროტოკოლში წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება პჯდ ექიმების კომპეტენციას და ქსელში არსებულ რესურსებს. დაავადების აღრეულ ეტაპზე დიაგნოსტიკის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდებულია სპირომეტრიული გამოკვლევის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში. ასევე, მნიშვნელოვანია პჯდ პერსონალის ტრენინგი განახლებული პროტოკოლის დანერგვის მიზნით.

დასკვნა

- წარმოდგენილი პროტოკოლი „ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების პრევენცია, დიაგნოსტიკა და მართვა პირველადი ჯანდაცვაში“ წარმოადგენს კარგად მომზადებულ სახელმძღვანელო დოკუმენტს პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის და ხელს შეუწყობს ფქოდ-ის სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.
- პროტოკოლი აკმაყოფილებს ამ ტიპის დოკუმენტებისადმი წაყენებულ ყველა მოთხოვნას და რეკომენდაციას ვუწევთ აღნიშნული სახით მის დამტკიცებას.

პატივისცემით,

ირინე ქაროსანიძე



ა(ა)იპ „საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის“ პრეზიდენტი

